წერილის ნომერი: **18-01260642728**
თარიღი: **05/03/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-0126055322
წერილის თარიღი:	24 თებერვალი, 2026
განმცხადებელი:	რამაზ ჭურაძე
განაცხადის N	AR11120307
მისამართი	ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ცამეტი ასურელის მამის ქუჩა N128
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.72.14.055.038
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	ოფისი; II კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	ახალი მშენებლობა პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ **გრგ**	ბრძანება № 7441603 თარიღი: 08 აპრილი, 2025
ფართობ(ებ)ი:	3281 კვ.მ
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,აუტოტესტ გეორგია“ (ს/ნ: 405041119)
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი საექსპერტო დასკვნა
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის დადგენილებით №52-13 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025

წლის 12 აგვისტოს N25.1358.1534 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ **გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავად შემოთავაზებული 13 ძირი ნერგი (6 ძირი ჰიმალაის კედარი, 7 ძირი კავკასიური ცაცხვი) და ასევე, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული 10 ძირი ჯანსაღი მწვანე ნარგავი (9 ძირი კვიპაროზი, 1 ძირი კაკალი)** სრულად ითვისებს **კ3 (0.2)** გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო მინიმალურ ფართობს **(492 კვ.მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები შერჩეულია ქ. თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.**

ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ დაინტერესებულმა პირმა გამწვანების პროექტის საინფორმაციო დაფის ესკიზზე უნდა დააკორექტიროს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული (შესანარჩუნებელი) მწვანე ნარგავების რაოდენობა.

ინფორმაციისთვის

გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის მე-5^1).

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი